



სამეურნეო ჟურნალი

გოგნიაშვილი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალის ფასი წელიწადში . . . 3 მან. || რედაქცია: კავკასიის სამეურ. საზოგადოება
თითო ნომერი ხელზე გასასყიდად . 10 კაპ. || ადრესი: Тифлисъ, Барятинская, № 5.

წელიწადი პირველი

1909 წელიწადი.—1 ღვინოზისთვე.—№10.

შინაარსი

	გამოფენა-ბაზარი	3
ლ. გოგნიაშვილი	როგორ უნდა გააშენოთ ამერიკული ვაზი, გააკეთოთ ნამუენი, შეინახოთ ნერგი და დარგოთ სხვის დაუ- სმარებლად	3
ა. თამამშვევი	სადღეებელი „აკმე“	6
ვ. მჭედლიშვილი	დუდიდედა და ღვინის დუდილი	7
ვ. შ—ელი	ხელფურთა სსსუქები	9
დ. მდივანი	ნამუენის საძირე ვაზი	13
სვ. ხუნდაძე	ვაზის სიყვითლე	14
	<u>საყურადღებო ცნობები:</u>	
	ფრინველთ გამოფენა ტფილისში	16

სამეურნეო ჟურნალი მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: — ავერკინი პ., ალიბეგოვი გ., ბერეკაშვილი კ., გვერდწითელი პ., გოგნიევი ლ., გოგინაშვილი ფ., დელაბრიშვილი შ., ეირანოვი ს., ვაჟა-ფშაველა, იოსელიანი ე., კარბელაშვილი ე., კალანდაძე ნ., ლორთქიფანიძე პ., ლიონიძე ა., მაკარაშვილი ნ., მოსეშვილი ი., მრეველიშვილი გ., მკურნალი ნ., მურვანიშვილი მ., მჭედლიშვილი ვ., მამულაშვილი მ., მაღალაშვილი მ., მღივანი დ., ნანეიშვილი მ., ნახუცრიშვილი გ., ნა. არ. ძე ს., ქვარიანი ს., ედილაშვილი ზ., დვთისაფაროვი კ., ზაალიშვილი მ., ჯაფარიძე გ., ყვრიშვილი ნ., ჩოლოყაშვილი ს., რაზიკაშვილი თ., რცხილაძე ვ., ხუნდაძე ს., ციმოფევეი ს., სააკოვი ა., ქარცივაძე მ.

რედაქცია მოელის სხეებიდანაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

თანამშრომელთა საშუალებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (გენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**.

წლიურ აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით**.

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

ქუთაისში ხელის მოწერა ჟურნალზე მიიღება წიგნის მაღაზიაში „იმერეთი“

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ი. რცხილაძე**



გამოფენა-ბაზარი

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან ნოემბრის 20-დან 30-დე ამა წელს ქალაქ ტფილისში, ალექსანდრეს ბაღში, საკუთარ დარბაზში გამართული იქნება **მეფუტკრეობის დარგთა პირველი მორიგი გამოფენა-ბაზარი.**

გამოფენა-ბაზარის მიზანია: ერთის მხრით გამოარკვიოს მეფუტკრეობის აწინდელი მდგომარეობა ჩვენში, შეუწყოს ხელი აწინდელ ცოდნა გამოცდილების ამ საქმეში ხალხში გავრცელებას და მეორეთი დაეხმაროს მეფუტკრეობის ნაწარმოებთა და ყველა იმ ავჯგ-იარაღთა გასაღებას, რომელნიც ასე თუ ისე დაკავშირებულნი არიან ამ მეურნეობასთან.

ამისათვის გამოფენა-ბაზარზე გამართული იქნება ვაჭრობა გამოფენილი ნაწარმოებისა.

ესეთი გამოფენა-ბაზარი კავკასიაში პირველად ხდება, ამიტომ დიდად საჭიროა ყველა მეფუტკრეები თანაგრძნობით მოექცნენ ამ საქმეს. კარგად დაწყობილი საქმე შემდეგშიაც ადვილი მოსაწესრიგებელი იქნება და საზოგადოებას შეძლება მიეცემა კვლავაც მოაწყოს ესეთი გამოფენა-ბაზარი დრო-გამოშვებით.

რაც უფრო სრულად დაიხატება გამოფენაზე მეფუტკრეობის აწინდელი მდგომარეობა ჩვენში, იმდენი უკეთე-

სია, რადგან ყოველი გაუმჯობესება მხოლოდ მაშინ შეიძლება შევიდეს ცხოვრებაში, როცა ნათლად გვექნება წარმოდგენილი ყველა ის, რის მქონებელნიც ვართ.

ამ უკანასკნელ ხანში ჩვენებურ დედა-ფუტკარს ძრიელ დიდი გასავალი ეძლევა სხვა ქვეყნებში მის კარგ ღირსებისა გამო. ამ გარემოებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენებურ მეფუტკრეობისათვის, რადგან შესაძლებელი ხდება მეფუტკრემ განსაკუთრებით დედა-ფუტკრებით ვაჭრობა გაიხადოს შემოსავლის წყაროდ. ამიტომ დიდად სასურველია, რაც შეიძლება სრული ცნობები იქმნას წარმოდგენილი გამოფენაზე დედა-ფუტკრებით ვაჭრობის შესახებ.

რადგან ჩვენი ქვეყნის მდებარეობა მოითხოვს ფუტკრის წაყვან-წამოყვანას ადგილიდან ადგილზე ფუტკრის საჭიროების და გვარად ზამთარ-ვაზაფხულ-ვაზაფხულში, სასურველია ესეთი მოგზაურობისათვის ყველა ხელშემწყობი საშუალებანი, რომელნიც უკვე შემუშავებულნი და ნაცადნი არიან, სწავსებით იქმნენ წარმოდგენილი გამოფენაზე. სასურველია ესეთი ცნობები, განსაკუთრებით ფუტკრის მოგზაურობის შესახებ რ. ინის გზით, შარა გზებით და მთის ბილიკებით.

როგორ უნდა გააუმჯობესოთ ამერიკული ვაჭი, გააუმჯობესოთ ნაფხინი, შეინახოთ ნიჩბი და ღარიბთ სხვის დაუმეამრავლოც

ის ალაგი, სადაც ამერიკული ვაჭის გაშენებას აპირებთ, უნდა შემოდგომითვე ორპირათ დაიხაროს და ქვა-ღორღი ამოიჩრჩეს. შემდეგ ადრე გაზაფხულზე ეს ორპირი უნდა დაფარცხოთ.

თუ ვენახის გაშენებას **რქით** აპირებთ,

ერთ დესეტინა ადგილისათვის უნდა 2400 რქა დაიმზადოთ, თითოეული მათგანი სიგძით 8—10 ვერშოკი.

თუ ვენახს **ნერგით** აშენებთ, მაშინ იმდენივე, ხოლო კარგად ნახარები ნერგი დაგჭირდებათ.

ალაგს რომ დაფარცხავთ, შემდეგ უნდა დახაზოთ იმ ვარაუდით, რომ 2400—5400 *) ცალი ვაზი დაეტიოს ერთ დესეტინაზე.

თუ ნერგი გინდათ ჩაყაროთ, უნდა 8—12 ვერშოკიანი სიღრმით ორპოები დასთხაროთ და ჩარგოთ ნერგი შიგ ძალიან ფრთხილად. ჩარგვაში უნდა გარშემო მიწა ჩაუტენოთ კარგად და მერე ვაზი გადასჭრათ ერთ კვირტზე მიწის პირათ და შემოაყაროთ მიწა.

როცა რქით აშენებთ ვენახს, მაშინაც ესე უნდა მოიქცეთ, მხოლოდ ორმოების დათხრა საჭირო აღარ არ არის. რქა უნდა რქინის ჯოხის შემწეობით ჩარგოთ იმოდენავე სიღრმეზე.

კვირტიდან გამოტანილი ლერწი საჭირო არ არის ჭიგოზედ მიიკრას, ის თითონ გავა-გამოვა მიწაზედ. ორი-სამი წლის განმავლობაში ეს ვაზი უნდა მიწის პირას ისხლას, მხოლოდ მიწის შემოყრა კი საჭირო არ არის. მეოთხე წელიწადს ასე მოვლილი ვაზები მოგცემთ ნამყენისთვის გამოსადეგს რქას. საძირე ვაზი უნდა გასხლათ შემოდგომაზედ. შესაძლებელია ადრე გაზაფხულზედაც გაისხლას, მხოლოდ იმისთანა ალაგებში კი, საცა დიდი ზამთარი არ იცის და მასთან სანამ ვაზი გაიღვიძებს. თუ ვაზმა გაიღვიძა, იმისი რქა სანამყენით აღარ გამოდგება. გასხლული რქიდან უნდა გამოარჩიოთ ნამყენისთვის გამოსადეგი ლერწი საშუალო სიმსხოსი, რომ დასამყენელი რქა შესაფერი შეგეძლოთ იშოვნოთ. არჩეული რქა უნდა შეპკრათ კონებათ არა უმეტეს 200 რქისა თითო კონაში და შეინახოთ მიწაში ისე, რომ წვიმამ და სიცივემ არ ჩაატანოს; უკეთესია სარდაფში შეინახოთ ლამ მიყრილი. ხოლო ლამი ძალიან ძველი არ იყოს,

*) ზოგან, მაგ. სიღნ. მაზრაში, ერთ დესეტინაზე 7200 ვაზსაც რგავენ.

თორემ ლერწი დაგიობდებათ. კარგათ შეკრული კონები ქვევრშიაც შეგიძლიანთ შეინახოთ მიწა მიუყრელი, მხოლოდ ქვევრს პირი ისე უნდა დაფაროთ, რომ შიგ ჰაერმა იმუშაოს თავისუფლად. მე ოთხი წელიწადია ლერწს ქვევრებში ვინახავ და მშვენივრათ ინახება. დასამყნობათ გამოსადეგი ლერწი შემოდგომითვე უნდა აირჩეს და სიფრთხილით იქნეს შენახული. მყნობა შეიძლება დაიწყოს ორი კვირათებერვლიდან აპრილის გასვლამდე, ესე იგი მაშინ, როცა ჯერ კვირტი არ არის გაღვიძებული; რადგან სარდაფები ნამყენის შესანახავად იშვიათად ვისმე აქვს, ამისათვის სასურველია რომ მყნობა და დარგვა ერთსა და იგივედროს მოხდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ან ავდარია ან გოლვა; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ახლათ დამყნილი ვაზი უნდა ლამში ფეხზედ დაყენებული შეინახოთ გრილს ალაგს; ხშირათ ახლად დამყნილ ვაზს სამი-ოთხი კვირა ინახავენ ლამში, რომ კარგათ შეხორცდეს და მერე შეხორცებული დაირგას. ჩემის დაკვირვებით ეს ყოველთვის არა მართლდება. ახლად დამყნილი ვაზი რაც უნდა კარგათ დამყნილი იყოს გადატან-გადმოტანაში და მიწის დაყრაში ფუჭდება და დარგვის შემდეგ აღარ შეხორცდება ხოლმე. მე ყოველთვის ერთსა და იგივედროს ვამყნობ და ვრგავ და უამინდობის დროს ერთ კვირაზედ მეტს არ ვინახავ მიწაში და შემოძლიან ვთქვა, რომ ნამყენი კარგს პროცენტს მაძლევს ნახარებს. მყნობის დროს ამერიკული რქა უნდა დაიკრას 5—7 ვერშოკამდე იმის მიხედვით მიწა რამდენად ნესტიანია ან მშრალი. ყოველ შემთხვევაში მოკლე ნამყენი უკეთეს ფესვს იკეთებს. 5—7 ვერშოკის ლერწი უნდა გაასუფთავოთ და ძირში



ამოუკრათ კვირტები; რქა უნდა დაა-
 ცნოთ თითო კვირტზედ სიგძით ერთი
 ვერშოკი. მიწა ნამყენისათვის შემო-
 დგომითვე უნდა იყოს დაბარული და
 ვაფხვიერებული, მხოლოდ დარგვის წი-
 ნათ უნდა დაიფარცხოს. ნამყენი უნ-
 და ჩაიყაროს რკინის ჯოხის საშუალე-
 ბით მწკრივად ოთხს ვერშოკზე და-
 შორებით ერთიერთმანეთიდან. მანძილი
 მწკრიდან-მწკრივამდე უნდა იყოს არა
 ნაკლებ 12 ვერშოკისა, რომ მისი და-
 მუშავება შეიძლებოდეს. ნამყენი უნ-
 და ჩაიყაროს ისე, რომ ის ალაგი,
 საცა უნდა შედუღდეს ვაზი, ცოტა მი-
 წის პირის დაბლა იყოს დაცდენილი და
 გარშემო შემოეყაროს კარგი ფხვიერი
 მიწა 2—3 ვერშოკზე იმის მიხედვით,
 გაზაფხულზედ გოლვები იცის თუ ავ-
 დრები ან ნამყენი ადრე გაზაფხულ-
 ზედ ირგვება თუ გვიან. ყოველ შემ-
 თხვევაში სასურველია, რომ ნამყენი
 იყოს გრილათ, მხოლოდ თავთავის
 დროს არ აკლდეს სითბო. ადრე დარ-
 გული ნამყენი, თუ დიდი ავდრები არ
 დაუდგა, ყოველთვის თამამი იზრდება,
 ნახარებსაც მეტს პროცენტს იძლევა.
 ავდრები თუ დიდი დაუდგა სასურვე-
 ლია მიწა ცოტა გადააცალოთ ნამყენს,
 რომ კვირტი მიწაში არ დაღვეს. დარ-
 გვის შემდეგ ნამყენს მიწა არ უნდა
 ვადაეხადოს. ექვს კვირაზე ნამყენი გა-
 იღვიძებს და ყველა კვირტი ამოიტანს
 ყლორტს; თუ ნესტიანი გაზაფხულია,
 ვიდრე ვაზები შეხორცდებიან, ამერი-
 კული ვაზი ყლორტებს გამოიტანს, ამ
 შემთხვევაში ვაზი უნდა სიფრთხილით
 მიწის პირას მოიწკმინტოს რამდენიც
 წამოიზდება. როცა ნამყენი ყლორტს
 ამოიტანს, მაშინვე უნდა შაბიამანი შეე-
 სხუროს. ყოველთვის სანერგე უნდა
 სუფთათ გქონდეთ მოვლილი, უნდა ყუ-

რი უგდოთ ნამყენს, რომ მიწაში კვირ-
 ტმა ფესვი არ გამოიტანოს და თუ
 გამოიტანა არ დამსხვილდეს. როცა-
 შეატყობთ, რომ ფესვი გამოუტანია
 ნამყენს, უნდა სიფრთხილით გამოსქ-
 რათ. ცალი მხრიდან ნელ-ნელა გადახ-
 დით მიწას და ძალიან მკრელი და-
 ნით უნდა შეაცალოთ ყველა ფეს-
 ვები, რომელიც კი ნამყენის ზედა ნა-
 წილს აქვს გამოტანილი, და ისევე სიფრ-
 თხილით მიწას შემოაყრიეთ. შემდეგ ამისა
 ერთი კიდევე უნდა უწამლოთ შაბიამნით.
 ესეთი მუშაობა სჭირდება სანერგეს დაახ-
 ლოებით 15 თიბათვიდგან 10 მკათა-
 თვემდე. მეორეთ ფესვის გამოცლა დას-
 კირდება ორი კვირა მარიაშობისთვე რომ
 ჩამოვა, მხოლოდ ისევე იმ რიგათ და სიფ-
 რთხილით. მეორეთ ფესვის გამოცლის
 შემდეგ, თუ ძალიან გოლვა არ დად-
 ვა, უნდა მიწა სრულებით გადაეცა-
 ლოს. თუ გოლვებია კი სასურველია
 მარიაშობისთვის გასვლამდე ქონდეს მი-
 წა შემოყრილი. ზაფხულის განმავ-
 ლობაში საჭიროა მიწა რამდენჯერ-
 მე გაითოხნოს, რომ არ დასქდეს და
 სიცხემ არ ჩაატანოს. გიორგობისთვე-
 ში, რაკი ნამყენს ფოთოლი გაუქქნე-
 ბა, ნამყენი შეგიძლიანთ ამოიღოთ.
 ამოთხრა სიფრთხილით უნდა, რომ ნამ-
 ყენს ფესვი არ დააწყვიტოთ. ამოღებუ-
 ლი ნერგი უნდა გადაარჩიოთ რომელიც
 შეხორცებული იქნება კარგად და ფე-
 რიც რიგიანი ექნება, დასთვალთ
 ას-ასი ღერი და შევკრათ კონებათ. შეკ-
 რული კონები უნდა ლამში დაწოლი-
 ლი შეინახოთ სიგრილით გაზაფხულამ-
 დე და ადრე გაზაფხულზედ შეუდგეთ
 მის დაბინავებას სამუდამო ალაგას. თუ
 ამერიკული რქა სასყიდელი არა გაქვთ,
 თითო ნამყენი ორი-სამი კაპიკი და-

გიჯდებათ. სანერგე ისეთ ალაგას უნდა იყოს გაშენებული, რომ როცა საჭირო იქნება, შეგვძლოთ მორწყოთ. სანერგეს ალაგი სასურველია გრილი ლამი

მიწა იყოს, რადგან ლამში ნამყენი უკეთესათ ხარობს ვიდრე ყვითელს ან შავს მიწაში.

ლევან გოგნიაშვილი

სადღვებელი „აკმე“


ამ ბოლო დროს ძალიან ვრცელდება და იკიდებს ფეხს დასავლეთ ევროპაში სადღვებელი „აკმე.“ ეს სადღვებელი წარმოადგენს ხის პატარა ბოჩკას, რომელსაც აქეთ-იქიდან გვერდებზე გარედამ პატარა თავთხეები აქვს ღერძის თავებივით ბოძებზე დასაბჯენი სატრიალებლად. ბოჩკას შიგნით არაფერი არა აქვს რა, არც ხარხები და არც ნაწიბურები. შესადღვები მასალა ბოჩკის ტრიალის დროს ეხეთქება მის გვერდებს, ძირს, ხუფს და იღვინება. ხუფს შიგნიდან ნაპირზე რეზინის ან პრობკის საღტე აქვს ირგვლივ მიკრული, რომლის საშუალებით ხუფი ზემოდან ქანჩაკით ძალიან მაგრა ეხურება ბოჩკასადღვებელს. ეს ხუფი იმით არის კარგი, რომ სადღვებელი ადვილი ასახდელია და ადვილი გასარეცხი და გამოსაწმენდი.

ხუფს პატარა შუშის ფანჯარა აქვს დატანებული. როცა შედღვებას ვიწყობთ ეს ფანჯარა შიგნიდან რძით გაიგლისება ხოლმე და მერე კი, როცა დღვება დასრულდება, ფანჯარა თავისთავად იწმინდება, ისე რომ ამ

ფანჯრის შემწეობით ჩვენ ვგებულობთ დღვება გათავდა თუ ჯერ არ გათავებულა. ჰაერ-გვარების გამოსაშვებად, რომელნიც დღვებაში წარმოსდგებიან, შეიძლება ცოტა ან ხუფს აუქავროთ, ან არა და ქვეითი კრანი (უბრალო ჯოხია—„შპუნტი“) მოგხსნათ ერთი-ორი წამით და დავკეტოთ ისევ.

როგორც ხედავთ სადღვებელი „აკმე“ ძალიან მარტავია. თუ რამე დაუშავდა, შეკეთება ყველას შეუძლიან.

სადღვებლები საზოგადოდ კეთდება ხისაც და ლითონისაც. ორთავეს თავთავიანთი ღირსებაცა აქვთ და ნაკლები ვანებაც.



სადღვებელი „აკმე“

ხე იჟღენთება რძით და აძნელებს სადღვებლის სუფთად შენახვას; ლითონი კი ადვილად ცივდება და თბება, რის გამო ტემპერატურა შიგ სადღვებელში ადვილად იცვლება გარეშე ჰაერის ტემპერატურის ზედ გავლენით. სადღვებელში კი საჭიროა, რომ ტემპერატურა ნაღებს ჰქონდეს 10—13°C. ზე მაწონს

11—16°C. წინააღმდეგ შემთხვევაში კარაქი ნაკლები გამოდის. გარდა ამისა ლითონი გემოს აძლევს კარაქს, აფუჭებს.

დუღიდეა და ღვინის დაყენება

მაშ სჩანს, რომ სადღვებელი „აკმე“ როგორადაც ხისაგან გაკეთებული ყველა ლითონის სადღვებლებს უნდა სჯობდეს.

სადღვებელი „აკმე“ პირველად ამერიკაში შემოიღეს. ეს სადღვებელი შეიძლება გაკეთდეს კაკლისა, მუხისა, თელისა და წიფლისა.

გამოცდილებით ვიცით რომ კარგი სადღვებელი 35—45 მინუტის განმავლობაში კარგა ზომის ერბოს უნდა იძლეოდეს რძიდგან. სადღვებელი „აკმე“ ამ მხრივაც ნაცადი გვაქვს და ვმოწმობთ ამით მის სიკარგეს. აი შედეგი, რომელიც ამ სადღვებლითა გვაქვს მიღებული.

ცდა	ნაღბის სისქე	ტემპერატურა		რამდენჯერ ვატრიალებდით მინუტში	რამდენ მინუტში იღვებებოდა	რამდენი გრამი კარაქი გამოვიდა	რამდენი გრამი ერბო	g/o სხივისა დოში	სხიმი რამდენი იყო ერთად	სხ მის ტემპერატურა
		ნაღბისა	ლოხის, სადაც სადღვებელი იდგა							
1	14.19	14 0	18.0	60	34	6940	1244	2.1	115.08	17
2	16.24	13.5	20 0	60	42	8220	1624	0.9	55.44	17
3	18.17	13.0	20.0	60	50	6910	1177	1.6	81.44	18

ცდის დროს კარაქი იღვებებოდა ნახევრად დამჟავებული ნაღბიდგან, ე. ი. ჩვენ არ გვიხმარია დასამჟავებლად დუღიდეა, არამედ გავაციეთ ნაღბი მის მოხდის უმაღლვე 13° C.-დ და დავტოვეთ დასამჟავებლად რამდენიმე საათი.

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ კარაქი იღვებება 34—50 მინუტის განმავლობაში და დოშიაც ცოტა ცხიმსა სტოვებს.

სადღვებელი მინუტში 60—70-ზე მეტჯერ არ უნდა ტრიალებდეს, რად-

გან ამაზე ჩქარა როცა ტრიალებს, რძენაღები სადღვებლის კედლებს ეკვრება და აღარ იღვებება.

სადღვებელი „აკმე“ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში შეუძლიან, ვისაც სურს, იყიდოს ამ ფასებში:

№ 0 სდღვებავს ნაღებს 1 ვედრამდე 10 მანეთი

№ 1	„	„	2	„	11	„
№ 2	„	„	3	„	12	„
№ 3	„	„	4	„	14	„
№ 4	„	„	5	„	17	„

ა. თამამშვიცი

დუღიდეა და ღვინის დუღილი

(დასასრული)

ეხლა მეღვინეს წინ უდგა უფრო დიდი და რთული ამოცანა: წარმართოს დუღილი ისე, რომ ტკბილმა სრულად დაიდუღოს, რაც შეიძლება მაგარი, ჯანმრთელი, გემრიელი და სრული სასმელი დააყენოს. დაიწყება თუ არა დუღილი მაშინვე ვატყობთ ტერმომეტრით, რომ ტემპერატურა თანდათან

მატულობს ქვევრში. მიზეზი ამისი არის დუღიდედის სიცოცხლით მოქმედება და ზოგი ეკზოტერმიული რეაქციები, რომელნიც დუღილის დროს წარმოსდგებიან. როცა ქვევრს დუღილში ღვთის ანაბარას ვტოვებთ, ხშირათ მოხდება ხოლმე რომ ტკბილი სრულიად არ დადუღდება. ტკბილში შაქარი ჯერ ისევ

ბლომათ არის, მაგრამ დუდილი კი დგება და ბოლოს ისპობა კიდევ. ჩვენში სწორეთ ასე იქცევიან: დაინახვენ თუ არა, რომ შეიძლება ქვევრი დაიხუროს, დახურავენ და გონიათ გავათავეთ საქმეო. აი ამიტომ არის რომ ნახევარი ღვინო კახეთში დაუდულარია ხოლმე. ჩვენისთანა (სამხრეთ) რაიონებში ტკბილის დაუდულარობა ხშირი მოვლენაა და კიდევაც ებრძვიან ამ მოვლენას, საცა კი იციან როგორ ებრძოლონ. ერთი უბრალო მოქმედებათაგანი დუდილის დროს დარევა არის. ჯერ მინამ დუდილი დაიწყება, საჭიროა დღეში 3—4 ჯერ დაუროთ ტკბილს. დუდილის დროს დარევა აუცილებელია და რაც უფრო ხშირათ დაურევთ იმდენი კარგია. დასარევათ სარცხის მაგივრათ, რომელიც ძალიან ხშირათ ჭუჭყიანია ხოლმე და არც ისე დაურევს ქვევრს როგორც საჭიროა და ამასთან მალეც ფუჭდება, შემდეგ უბრალო დასარევს აკეთებენ. ეს არის მაგარი ტარგაყრილი მუხის ხმელი ფიცარი 5—6 ვერშოკიანი სიგრძით და ერთ ჩარქიანი სიგანით. ტარი ფიცარს შუა ალავას აქვს, ასე რომ მიწაზე ფიცარი პტყლათ რომ დავლოთ, ტარი ბოძთადრულად ექნება. დარევა უნდა ქვევრს ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქუდი, სანამ დუდილი გაძლიერდება, სულ მუდამ სველი იყოს, რადგან როცა შრება ძმარდება; მეორე, როცა ქუდი გამაგრდება და ამოსვლას იწყებს მაღლა, უნდა დაუროთ, რომ ქუდი ძირს წავიდეს და დარბილდეს. ქუდს ამაგრებს და სწევს მაღლა ჰაერგვარი ნახშირმთავე. ნახშირმთავეს, როცა ამოდის მაღლა, თან ამოაქვს ჭაჭა, რომელსაც გაჩხირავს ხოლმე ქვევრის ყელში ისე მაგრა, რომ თვით ნახშირმთა-

ვის ქვევრიდან ჰაერში ამოსვლა პრკოლდება, რისგამო თანდათან მატულობს იგი ქვევრში და ემატება დაწოლის ძალა ქვევრის კედლებზე იქამდე, ვიდრე ქუდს ამოხეთქავს და გადმოვა ქვევრიდან. შემდეგ ამისა განთავისუფლებული ჰაერგვარი ამოხჩქებს ქვევრის სიღრმიდან და ზოგჯერ ამონაყოლ თან წვენს შადრევანით ამოასხამს ხოლმე მაღლა. დარევას სხვა მნიშვნელობაცა აქვს: როცა დუდილი გაძლიერდება და ქვევრს ქუდი გაუკეთდება, ჭაჭასთან ერთად ამოყოლილი დუდილის ფერმენტები ბლომად გროვდებიან ქუდში, აქ დუდილი დიდის ენერგიით ხდება და ქვევრის ძირში კი სუსტდება. დიდი ენერგიით დუდილი კი არ არის კარგი, ერთბაშად დასუსტება მოსდევს ამგვარ დუდილს, რადგან სპირტი ერთბაშად კეთდება ბლომად და შეუჩვეველ ფერმენტს დუდილისას ასუსტებს. ხშირი დარევა აერთიანებს სითხეს და სპობს პირობებს დუდიდელის დასუსტებისას. გარდა ამისა დარევა ღვინის დაფერვაზედაც მოქმედობს. რამდენადაც ხშირათ დაურევთ, იმდენად უფრო კარგა აერევა ჭაჭა სითხეს და მაშასადამე უფრო კარგად გამოსცემს ფერს, რადგან ფერი ყურძნის წვენს უფრო ყურძნის ჩენჩოდგან ეძლევა. როცა დარევით ქუდი ძირს ჩავიდა, ზემოთ აღწერილ დასარევის მაგივრად მეორე გვარ დასარევის ხმარობენ. ეს არის მაგარი მოგრძო კეტი, რომელსაც ჯვარედინად 4—6 დუმიანი ჩხირები აქვს გაყრილი. ტკბილის დადულებამდე ქვევრის დახურვა არ შეიძლება. დუდილის დამთავრებას ვიგებთ გემოთი, ტემპერატურის დაკლებით და შედარებითი სიმკვრივის გაზომით (რომელიც უნდა იყოს ერთი მთელი). სა-

ნამ დუღილი არ გათავებულა, ქვევრს უნდა გადავაფაროთ, რომ შიგ არა ჩავარდეს რა, ხოლო ჰაერი კი თავისუფლად მუშაობდეს. ჯოხების დატანება, რომ ჭაჭა მალა არ ამოვიდესო, არ ვარგა, რადგან მაშინ სრულიად უადგილო იქნება ყველა ზემონათქვამი: აღარც რიგიანი დარევა შეიძლება და არც წესიერი დადუღება. როგორც ვსთქვით, რამდენადაც დუღილი ძლიერდება, იმდენად ტემპერატურა ქვევრში მატულობს; ბოლოს შეიძლება ტემპერატურა ზომამზე მეტი გახდეს, დუღილდედა დაასუსტოს და გაძლიერებული დუღილი ერთბაშად შესდგეს, რაც შეეცემა იმითი, რომ ქუდი ერთბაშად დარბილდება და ძირს ჩაწვება, თუმცა შექარი ჯერ ისევ ბევრია და ეს არ უნდა მომხდარიყო. ეს ის დროა, როცა ტემპერატურა ხდება 33—35°C.-ზე მეტი. ამ დროს იღვიძებს ყველა მავნე ფერმენტი და აზიანებს ღვინოს. მანიტის ფერმენტი იწყებს მანიტურ დუღილს; არც ძრმის ბაქტერიასა სძინავს: ესეც შეუდგება ხოლმე თავის მავნე მოქმედებას. ამ შემთხვევაში უნდა გაკეთდეს ერთი მეტად საჭირო და მასთან ძნელად მოსახერხებელი საქმე. ეს არის **ტკბილის გაციება**. უფრო ადვილი სახმარებელი იარაღები გასაციებლად არიან: გილეზოსი და მიუნცისა და რუსოსი. გაციება უნდა მოხდეს საზოგადოდ 20 გრადუსამდე ცელსიუს ტემპით.

ტკბილის გასაციებლად მოქმედობენ ასეც: მიუშვებენ ჰომპით ტკბილზე ახალ

ჰაერს, ვიდრე ტკბილის ტემპერატურა დაიწევს დაბლა. ხოლო ეს უნდა მოხდეს ღამე ან განთიადისას. მაგრამ ხანდახან ეს ძნელი შესაძლებელია, რადგან ჰაერმოხვედრილი ტკბილი ერთი ორად იმატებს ხოლმე დუღილს და ტემპერატურაც მისი დაკლების მაგივრად მატულობს. ეს ხდება მეტადრე მაშინ, როცა სიცხეებია და ჰაერი მაგრე რიგად ვერ აციებს ტკბილს. ამიტომ ვისაც სურს წესიერად დაადუღოს თავისი ღვინო, მან უნდა განსაკუთრებით ყურადღება მიაქციოს დაკრეფის დროს, შეიარაღდეს ტერმომეტრით, დასარევი იარაღებით და გასაციებელი მაშინით. თუ ზემოხსენებული წესით მოუარეთ ტკბილს, დუღილიც კარგა გაივლის და ღვინოც კარგი დაგვიდგება. ზოგჯერ მოხდება ხოლმე, რომ დუღილი უმიზეზოთ შეფერხდება. ამ შემთხვევაში საჭიროა ტკბილზე ახალი ჰაერი გამოქმედოთ: ძირიდან ჰომპით ამოტანილი ტკბილი მიუშვათ ქუდზე და რაც შეიძლება სავსებით დავასველოთ იგი. ეს უნდა გაგრძელდეს ასე ერთი საათი. ამას ჰქვია ტკბილის ჰაერიზაცია, რომელიც აფხიზლებს დუღილს და ჰმატებს მას დუღილის ენერგიას. დუღილის დროს ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რომ ძლიერი დუღილდის საშუალებით რაც შეიძლება დინჯი დუღილი გამოვიწვიოთ და ასევე დინჯათ დავამთავროთ იგი.

ვ. მჭედლიშვილი

ხელოვნური სასუქები

აზოტიანი სასუქები

აზოტიანი სასუქი ხეხილებს ჰშველის ტანის აყრაში და ნაყოფის დამსხვილებასში.

აზოტი ნიადაგში საზოგადოდ ცოტაა, არა ყოფნის ხეხილებს. ამიტომ აზოტიანი სასუქის ზედმოქმედებას ხეხილები მალე შეიმჩნევენ ხოლმე.

აზოტიან სასუქებში საუკეთესო სასუქები არიან ჩილის გვარჯილა და გოგირდმჟავიანი ამონიუმი (сѣрно-кислый амміакъ).

ჩილის გვარჯილა, რომელიც ბაზარში იყიდება, შეიცავს 15—16⁰/₁₀ აზოტს, რომელსაც ხეხილები თავიანთი ფესვებით ადვილად ითვისებენ.

გვარჯილა ნიადაგს არ გაუმჯობესებია ხოლმე, ამიტომ ნიადაგიდან წყალ-ნიღვლიანად ადვილად გამოირეცხება ან და ისეთ სიღრმეზე ჩააქვს შიგ ნიადაგში, რომ მცენარის ფესვები ვეღარ სწვდებიან მას და ვეღარ სარგებლობენ.

გვარჯილა ნიადაგში საზოგადოდ ერთ წლამდე მუშაობს როგორც სასუქი. ამიტომ გვარჯილით ნიადაგი უნდა გაპატივდეს მაშინ, როცა მცენარეებში წვენი დაიძვრება ან ამის რამდენიმე დღით წინ და არა დიდი ხნით წინ ამასზე.

უმჯობესია ეს სასუქი ნიადაგს მიეცეს ორ ჯერობაზე და არა ერთბაშათ.

მაინცა და მაინც ამ სასუქით ხეხილები უფრო მეტად ისარგებლებენ ხოლმე, ვიდრე სხვა უბრალო მცენარეები, რადგან ამ უკანასკნელთ მომეტებულ შემთხვევაში ფესვები ისე ღრმად არ მისდით მიწაში, როგორცაა ხეხილებს.

ხეხილის ბაღს, სადაც ხეხილები ჩვეულებრივად ხარობენ და ისხამენ, მოსაყრელად გამზადებული გვარჯილის $\frac{1}{3}$ უნდა მოეყაროს ესე თებერვლის ნახევრიდან მარტის შუა რიცხვებამდე და დანარჩენი კი რამდენიმე დღით წინ ხეხილების დაყვლილებამდე ან და როცა ნაყოფი უკვე ჩაინასკვა და სჩანს რომელ ხეს როგორი სხმოიარობა აქვს. ხეხილს, რომელსაც ბლომათ ასხია და ნორჩი ყლორტები კი მძიმეთ ეზრდება,

გვარჯილა უნდა მომეტებულად მიეცეს; რომელსაც ყლორტი თამამი აქვს და სხმოიარობა კი ნაკლები, იმას გვარჯილაც ნაკლებათ უნდა მისცეთ. იმ ხეებს, რომელთაც ნაყოფი სრულიად არ გამოუტანიათ, გვარჯილა სულაც შეიძლება არ მისცეთ.

აზოტიანი სასუქის შეტანა ბაღში შემოდგომითვე მისაღები არაა, რადგან ადვილად შესაძლებელია აზოტი მთლად გამოირეცხოს ნიადაგიდან წყალ-ნიღვრებით და ხეხილებს არა არგოს რა.

სადაც ნიადაგი და ჰავა ნესტიანია, იქ აზოტის ხმარება სასუქად საშიშოსახიფათოა ხეხილებისათვის.

გვარჯილა ძალიან რგებს იმისთანა ხეებს, რომელნიც ერთი და ერთი გაჯიუტდნენ და ტანს არ იზრდიან. თითო ამისთანა ხეს (20—30 წლისას) საკმარისია 75 გრამი გვარჯილა მიეცეს, რომ ადგილიდან დავძრათ და ზრდა დავაწყებინოთ თვალსაჩინოთ.

იქ, სადაც გოლვა იცის და მორწყვით უნდათ ხეხილების გაპატივება, რომ 1500—2000 ნაწილ წყალში 1 ნაწილი გვარჯილა გაგხსნათ და ისე მოვრწყოთ, კარგია.

სადაც ხეხილები ღონივრათ იზრდებიან და ცოტას კი ისხამენ, იქ არც გვარჯილას და არც ნებს ადგილი არა აქვს. ამ შემთხვევაში უნდა მივმარაოთ ფოსფორ-მჟავიან, კალინარეს და კირნარევ სასუქებს.

როცა სხვადასხვა ნივთიერებების ერთმანეთში არევით რომელიმე ხელოვნურ სასუქს ვაზავებთ, გვარჯილა ყოველ შემთხვევაში შეგვიძლიან უშიშრად ჩაურიოთ შიგ. მხოლოდ თუ ასარევ ნივთიერებათა შორის სუპერფოსფატიც არის, შეიძლება ამ უკანას-

კნელნი გოგირდის სიმჟავე იყოს თავისუფალი და გვარჯილა ქიმიურად დაშალოს.

ხოლო გვარჯილის არევა სხვა ნივთიერებებში სულაც არ უნდა ხდებოდეს, რადგან როგორც ადვილი შესათვისებელი ნივთიერება, გვარჯილა უნდა ზეადაგში იყოს შეტანილი და სხვა სასუქები კი ნიადაგში უნდა შედარებით ღრმად ჩაიხნას ან ჩაიბაროს.

გვარჯილა დიდი სინესტის ამღებია, ტირილი იცის მარილსავით, ამიტომ მშრალ ალაგას უნდა ინახებოდეს.

გვარჯილაში ხშირად საკმელ მარილს, გლაუბერის მარილს და სხვ. ურევვენ, რომ წონაში მეტი გამოვიდეს და მეტად გაყიდონ. ხან საწამლავს ქლორმჟავიან კალისაც ურევვენ.

ამისათვის გვარჯილის ყველა გამოყიდველს არ უნდა ენდოს კაცი. სჯობს ისევ თუნდა ცოტა მეტი მისცეს ადამიანმა და იქ იყიდოს, საცა საქონელი სუფთაა და არ ატყუებენ.

გოგირდ-მჟავიანი ამონიუმი როგორც აზოტიანი სასუქი ერთი უკეთესთაგანია. ხოლო ძვირად ფასობს და ამიტომ ბევრი ვერ ხმარობს. სულ როცა ცოტა; აზოტი ამ სასუქში 20%-ზე ნაკლები არ არის ხოლმე. თუმცა გოგირდმჟავიანი ამონიუმი ისეთივე ადვილი დასადნობია წყალში, როგორც გვარჯილა, მაგრამ მცენარეები მაინც მას პირდაპირ არ ითვისებენ, ჯერ უნდა იგინიადაგში სხვადასხვა ქიმიურ მოვლენათა ზედმოქმედებით გარდაკეთდეს **აზოტის სიმჟავეთ**. აი რატომ იგვიანებს ხოლმე ამ ხელოვნური სასუქის ზედმოქმედება ხეხილებზე.

გოგირდმჟავიან ამონიუმმა მჭიდროდ იცის ვაბმა ნიადაგში და ამიტომ შე-

დარებით ძნელად გამოირეცხება ხოლმე წყალ-ნიავედვით.

ეს ორი განსაკუთრებითი თვისება ამ სასუქისა — რომ მიძიმედ მოქმედობს და ძნელად გამოირეცხება ნიადაგიდან, განსაზღვრიან, როდის და როგორ უნდა შეხმარდეს ეს სასუქი ხეხილებს. სასუქი იგი უნდა მიეცეს ხეხილებს, სანამ გაზაფხულის წვენი დაიძვრება მცენარეებში, და მასთან ერთბაშად გაიშალოს მთლად და ზერე-ზერე ჩაითხნოს. შემოდგომითვე ვაშლა ამ სასუქისა არაფერი საჭიროებით არ გამოართლდება მით უმეტეს რომ ქიმიურ მოვლენათა ზედმოქმედება ამ სასუქზე ნიადაგში განუწყვეტლივ ხდება და ჩქარაც, ისე რომ გაზაფხულზე შეტანილი ბაღში სასუქი იმავე ზაფხულის დამლევს უკვე შეთვისებული აქვთ ხოლმე მცენარეებს.

ზეადაგში შეტანილი გოგირდმჟავიანი ამონიუმი, გარდაკეთდება თუ არა გვარჯილად, ჩადის დაბლა ნიადაგში და იქ ეთვისება მცენარის ფესვებს. ამგვარად ძვირფასი აზოტიდან სულაც არა იკარგება რა.

მჟავე ქაობიან ზეადაგ-ნიადაგებში, სადაც მაგალითად ტორფია ბლომად, გოგირდმჟავიანი ამონიუმი თავის ზედმოქმედებაში ხეხილებზე მთელ თავის ღირსებებს ვერ იჩენს სრულად, ამიტომ ამგვარ ზეადაგ-ნიადაგებში ისევ ჩილის გვარჯილა სჯობია სახმარებლად.

პროფ. პ. ვაგნერის რჩევით იმ ნიადაგების დასასუქებლად, სადაც ბევრი რიგი მცენარე ირგვება-ითესება ჯერჯერით, სჯობს ეს ორივე ხელოვნური სასუქი: ჩილის გვარჯილა და გოგირდმჟავიანი ამონიუმი ვიხმაროთ, ხოლო გვარჯილა უნდა დაეყაროს მცე-

ნარეების დარგვა-დათესის წინ და გოგირდ-მჟავიანი ამონიუმი კი როცა მცენარეები ზრდაში შევლენო.

როცა ნიადაგის გაბატივება მორწყვით გსურთ, უნდა 1000 ნაწილ წყალში 1 ნაწილი გოგირდმჟავიანი ამონიუმი გახსნათ და ისე მორწყოთ.

თუ გვინდა რომ ძვირფას აზოტს ხარჯი არ მიეცეს, გოგირდმჟავიანი ამონიუმის გადარევა არც კირში და არც კირნარევ სასუქებში, როგორც მაგალითად ტომასის შლაკია, ნაცარი და სხვა, არ შეიძლება, რადგან რომ გადურით, წარმოსდგება რთული ქიმიური რეაქცია (ორგვარი დაშლა), რომლის შედეგად მიიღებინ აღვილად ასაორთქლებელი ნივთიერებანი: ამონიუმი და ნახშირ-მჟავიანი ამონიუმი.

გოგირდმჟავიანი ამონიუმის არევა ყველა დანარჩენ ხელოვნურ სასუქებში უშიშრად შეიძლება.

აზოტიან სასუქებს ეკუთვნიან აგრეთვე **სისხლის ფქვილი** (გამხმარი სისხლი), რომელსაც 9—14⁰/₁₀ აზოტი ურევია ხოლმე ჩვეულებრივ და 1⁰/₁₀ ფოსფორის სიმჟავე; **რქის ფქვილი** (საქონლის რქა თხლად დაჭრილი, როგორც სასაპოვნეში საპონს ჩააჭრიან ხოლმე, და მერე დაქუცმაცებულ-დაფქვილებული), რომელიც შეიცავს 13—14⁰/₁₀ აზოტს; **ხორცის ფქვილი**, **ძვლის ფქვილი** და სხვა.

ყველა ამ სასუქებს აზოტიც ურევით საკმარისად და ფოსფორის სიმჟავეც არის მათში 0,5—1,5⁰/₁₀, ხოლო აზოტი ამ სასუქებში ორგანიულად არის შეერთებული და მისი გამოყენება მცენარეებს მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ, როცა მიკროოგანიზმების ზედმოქმედებით ამ სასუქებიდან აზოტის სიმჟავე წარმოსდგება ნიადაგში.

რადგან ესეთი გარდაკეთება აზოტისა აზოტის სიმჟავეთ დიდ ხანს თხოულობს, ამიტომ ამ სასუქებით გაბატივება ნიადაგს შემოდგომითვე უნდა ან ზამთარშივე.

ხოლო რადგან ეს სასუქები არც ბლომად საშოვარნი არიან და ძვირათაცა ღირან, ამიტომ მათი შეძენა-გამოყენება მარტო პატარა ადგილებისათვის შეიძლება, საღუმლეებისათვის, სადაც ყვავილებსა სთესავენ.

ყველა აზოტიანი სასუქები საზოგადოდ ძვირად ფასობენ, ამიტომ ხმარებაში მათ გაფრთხილება და გამოზოგება უნდათ. ბლომად გაბატივება აზოტიანი სასუქით ნიადაგს ზოგჯერ კიდევაც სწყენს: ხეხილები „სუქდებიან“ და ცოტაზედაც რომ მოხდეს არასასურველი-რამ ცვლილება ჰავაში, ვეღარ იტანენ და დაზიანდებიან ხოლმე.

უნდა გვახსოვდეს რომ აზოტიანი სასუქები (მეტადრე თუ მარტო ამათით გაბატივებთ და სხვა სასუქებს არ ვაყრით) ხეხილებს ზრდას უმატებენ და სხმოიარობას კი ზოგჯერ აკლებენ.

გამოფიტულ ნიადაგებისათვის აზოტიანი სასუქები დაუფასებელნი არიან.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ მარტო ერთი რომელიმე ხელოვნური სასუქის მიცემა, თუ ნიადაგს იმავე დროს სხვა სასუქებიც და წყალიც ეჭირვება, არაფერ სიკეთეს უზამს. ასე მაგალითად ტყუილი იქნება ხეხილებისათვის მარტო აზოტიანი სასუქის მიცემა, თუ იმავე დროს ნიადაგს ფოსფორის სიმჟავე, ან კალი, ან კირი აკლია და ან სინტიე არა აქვს, რამდენიც საჭიროა.

ნამყენის საძირე ვაზები

საძირე ვაზები განიყოფებიან სამ ჯგუფად. **ნამდვილ-ამერიკული, ამერიკულ-ამერიკული და ფრანგულ-ამერიკული.** ამ ორ უკანასკნელ ჯგუფს **გიბრიდებს** უწოდებენ. ამერიკული ჯიში თვით ამერიკიდან არის მოთესლებული ევროპაში და შემდეგ კი ჩვენში; ამერიკულ-ამერიკული და ფრანგულ-ამერიკული კი მევენახეებმა შექმნეს ხელოვნურად (გიბრიდიზაციით) ერთი მეორეზედ დანაყოფიერებით. ისეთი ვაზი რომ საძირე ვაზად ივარგოს ყველგან, სადაც კი ვენახი გაშენდება, არ არის. ყოველი ჯიში საძირე ვაზისა თხოულობს თავის შესაფერ ნიადაგს, ე. ი. ყოველ საძირე ვაზს კარგი **ადაპტაცია** (შეთვისება) უნდა ექნეს იმ მიწასთან, რომელშიაც ის ჩაირგვება. წინააღმდეგ შემთხვევაში უეჭველათ ცუდი ბოლო მოჰყვება. ნამდვილ-ამერიკულ ვაზებს ეკუთვნიან: წმინდა რუპესტრისი, რიპარია, ბერლანდიერი, სოლონის, კორდიფოლა, ცინირეა; ამერიკულ-ამერიკულებს ეკუთვნიან ყველა გიბრიდები ნამდვილ-ამერიკულებისა, მაგალითად: რიპარია X რუპესტრის 3309 რ X რ 3306, რ. X რ. 101-14, სოლონის X რიპარია 1616, ბერლანდიერი X რიპარია 157-11 რიპარია X კორდიფოლა X რუპესტრის 106-ს და სხვა. ფრანგულ-ამერიკულებს კი ეკუთვნიან გიბრიდები ფრანგული ჯიშებისა და ამერიკულებისა, მაგალითად: მურვედრ X რუპესტრის 1202, არამონ X რუპესტრის 1, შასლა X ბერლანდიერი. 41B და სხვა.

საძირე ვაზი უნდა გამძლე იქნეს ფილოქსერისა და კარგად უნდა შეედულოს და შეეთვისოს მასზედ დამყენილ კეთილშობილ ჯიშს, ესე იგი კარგი მონათესაობა უნდა ექნეს მასთან.

საძირე ვაზები ღრმა, მსუქან, ფხვიერ მიწებისათვის: რიპარია გლუარ დე მომპელიე ანუ რიპარია პორტალის, რიპარია X რუპესტრის 101-14, რიპარია X რუპესტრის 3309, რიპარია X რუპესტრის 3306, მურვედრ X რუპესტრის 1202.

ამათში ჩემის დაკვირვებით ყველას სჯობია ეს უკანასკნელი: სამაგალითოდ ახარებს და ითვისებს ნამყენს (50⁰/0 მეტს იძლევა), ყველა ჩვენ ჯიშებს კარგად ეთვისება და შესამჩნევ შედეგებულ ნამყენებს იძლევა, სხმოიარობაც სამაგალითო აქვს მასზედ დამყენილ ვაზს, ადრეც ამწიფებს ნაყოფს და ღვინოც კარგი ღირსებისა გამოდის; მ X რ 1202 ერთად ერთი საძირეა, რომელიც თითქმის ყოველგვარ მიწაზედ ვარგობს.

საძირე ვაზები კირნარევი მიწებისათვის: ბერლანდიერი X რიპარია 157-11, ბერლანდიერი X რიპარია 420A, ბერლანდიერი X რიპარია 34EM. (ეკოლ დე მომპელიე), რუპესტრის X ბერლანდიერი 301A, შასლა X ბერლანდიერი 41B, არამონ X რუპესტრის 1 და მურვედრ X რუპესტრის 1202.

საძირე ვაზები ნესტიან მიწებისათვის: სოლონის X რიპარია 1616, მურვედრ X რუპესტრის 1202, არამონ X რუპესტრის 1.

საძიარე ვაზები მაგარ, მშრალ, მძიმე მიწებისათვის: რიპარია X კორდიფოლა X რუპესტრის 106-8, ალიკანტ-ბუშე X კორდიფოლა 142B.

საძიარე ვაზები ისეთ მიწებისათვის, რომელთა ქვედა პირის დამუშავება შეუძლებელია: რუპესტრის X ბერლანდიერი 301A, ბერლანდიერი X რიპარია 420A, რიპარია X კორდიფოლა X რუპესტრის 106-8.

საძიარე ვაზები ისეთ მიწებისათვის, რომელთაც ზედაგი და ნიდაგი თითქმის ერთნაირი აქვთ: რიპარია X რუპესტრის 3309, რ X რ 101-14.

საძიარე ვაზები ცივ თიხნარ ნესტიან მძიმე მიწებისათვის: სოლონის X რიპარია 1616. რიპარია X რუპესტრის 3309, არამონ X რუპესტრის 1, მურვედრ X რუპესტრის 1202.

უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ თუკი გვეშოვება რომელიმე გიბრიდი ამერიკულ-ამერიკული ან ფრანგულ-ამერიკული, ყოველ შემთხვევაში იგი უნდა ვამჯობინოთ ნამდვილ ამერიკულებს: რუპესტრისს, რიპარიას და სხვას. რაც შეეხება ნამყენის შედუღება-შეხორცებას, ვაზის სხმოიარობას და მისი ნაყოფის და ღვინის ღირსებას, ამ შემთხვევაში პირველობა ფრანგულ X ამერიკულ საძიარე გიბრიდებს უნდა მივცეთ. ფრანგულ X ამერიკული საძიარე გიბრიდი მ. X რ. 1202, მაგალითად, წარმოსდგა ფრანგული ჯიშის „მურვედრისაგან“ („პინოფლერი“) და რუპესტრისაგან მათ ერთმანერთზე

ხელოვნურად დანაყოფიერებით. ამ ნაირათ საშუალო ჯიში 1202 უფრო გამძლე გამოვიდა ფილოქსერისა, ვიდრე თვით წმინდა მურვედრი, უფრო კეთილშობილი და მონათესავე ევროპიელ ჯიშებისა ვიდრე ველური, ნამდვილ-ამერიკული ჯიში რუპესტრისი. ასეც უნდა ყოფილიყო. მცენარეთა ფიზიოლოგიიდან ვიცით, რომ რაც უფრო ახლო მონათესაობა ექნებათ ორ სხვადასხვა ჯიშს, იმდენად უკეთ შედუღდებიან და შეკავშირდებიან ერთმანერთთან, კარგი სხმოიარობა ექნებათ და ნაყოფსაც წარჩინებულს გამოიტანენ, მით უმეტეს თუ საძიარეც კეთილშობილი ჯიშიდან არის წარმომდგარი.

დასასრულ შემიძლია დავუმატო, რომ მწვანეს, რქაწითელს, ცოლიკაურს, ოცხანურ საფერს და გურულ ჩხავერს ცუდი მონათესაობა აქვთ რუპესტრისთან და რიპარიასთან, რის გამო ძლიერ ცოტას ისხამენ. ერთმა მემამულემ, ვიცი, 7—8 წლის ნამყენი ვენახი რუპესტრისზე დამყნილი რქაწითლის და ოცხანური საფერისა ასკრა, რადგან ძლიერ მცირე ნაყოფს ღებულობდა მათგან. შემიძლიან თამამად ვსთქვა, რომ ყველა ზემო აღნიშნული ჯიშები დამყნილი მ. X რ. 1202 მრავალ-ნაყოფიერიც იქნებიან და მათი ნაყოფი მაღალ ღირსების ღვინოსაც მოგვცემს. ცოლიკაური დამყნილი ბერლანდიერის გიბრიდებზე კარგ შედეგს იძლევა.

დ. მდივანი

ვაზის სიყვითლე

(ხლოროზი)

ჩვენებურ ვენახებში სიყვითლე უფრო ხშირათ საფერავს და რქაწითელს უჩნდება. თუმცა ზოგჯერ სხვა ჯიშის ვაზებსაც დაახიანებს ხოლმე. ეს სენი ვაზს გაზაფხულიდანვე დაჰყვება ხოლმე. ხან ათეთრებს, ხშირად კი უფრო აყვითლებს ფოთლებს, ზრდას უპრკოლებს, ჰკრუნჩხავს და ახმობს, იგივე ემართება ნორჩ ყლორტებსაც.

ვენახს რომ მალლიდან დაჰხედოთ ადვილათ გაარჩევთ იმ კორომ ვაზებს, რომელთაც სიყვითლე სჭირთ.

სიყვითლით დაავადებული ვაზი ძლიერ სუსტდება, ყურძენი სცივივა, რაც შერჩება, ისიც არა მწიფდება და აღარც სამამულე და სანაყოფე რქა შემოდის სავაისოთ.

ასეთ გარემოებას დროზედ უნდა მიექცეს ყურადღება.

სიყვითლე ვაზს (ხეხილსაც) უჩნდება კირნარევ მაგარ და გრილ ნიადაგში. თუ ნიადაგი გამოფიტული შეხვდა, კირი უფრო ძლიერ მოედება ხოლმე.

ამ ავადმყოფობამ მკოდნე კაცების ყურადღება მიიქცია სხვა, უფრო საშინელი მტერი—**ფილოქსერის** წყალობით. ფილოქსერა ვაზის ძირებზნდ იკალათებს და 4—5 წლის განმავლობაში ახმობს მთელს ვენახს. ფილოქსერამ რამდენიმე ქვეყნის ვენახები სულ გაანადგურა. ჩვენზეაც გაჩნდა: იმერეთში ძალიან ბევრი ვენახები დაახმო, ახლა ქართლის ვენახებს ეწვია და უთუოთ მალე კახეთსაც მოედება, გარეთ კახეთში უკვე არის. ვერაფერი წამალით ფილოქსერა ვერ მოსპვს. ბოლოს ბევრი ძიების შემდეგ

იპოვეს ისეთი ჯიშის ვაზები, რომელნიც ფილოქსერას ადვილათ უძლებენ. ამ ჯიშის ვაზები ამერიკიში ნახეს და ამიტომ სახელადაც „**ამერიკული ვაზი**“ დაარქვეს.

გამოირკვა, რომ ამერიკული ჯიშის ვაზები, გარდა ერთი ჯიშისა რომელსაც **ბერლანდიერი** ქვიან, კირნარ მიწას ვერ იტანენ, სიყვითლით სნეულებიან.

ეს გარემოება მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, როცა სავენახე ადგილს და ვაზის ჯიშებს ვარჩევთ. თუ ნიადაგი სველი და ნესტიანია, ვიდრე იქ რამეს დავრგავდეთ, აუცილებლივ საჭიროა, არხების გაყვან-გამოყვანით ნიადაგის წყალს გზა მიეცეს, რომ მიწა დაიწკრიტოს, გამოშრეს.

თუ მიწა კირნარი და გამოფიტულია; უთუოთ კარგათ უნდა გავანოყიეროთ შესაფერი სასუქით. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია დავბაროთ ორპირად და ვაზი ჩავყაროთ. **თუ არ კირნარ ნიადაგში მცენარეს სიყვითლე არ გაუჩნდება.** ფოთლის და საზოგადოდ მცენარის მწვანე ნაწილების გაყვითლება **ქლოროფილის** დაკარგვას ნიშნავს ამ ნაწილებიდან და ფოთლებიდან. როცა ფოთოლში საკმაო ხლოროფილი არ არის, ფოთოლი ვეღარ ასრულებს თავის დანიშნულებას და მცენარე ხმება.

ვაზის სიყვითლის წინააღმდეგ ხმარობენ რკინის კვიპაროხს.

წამლობა შეიძლება:

1) ადრე გაზაფხულზედ, ვიდრე კვირ-



ტები გაიშლება, თვითვეულ დასწეულ-ლებულ ვაზის ძირს დაეყრით გირ-ვანქა ნახევარ დანაყილ რკინის კვიპაროზს ძველს სასუქში არეულს და კარ-გათ ჩაგებარავთ მიწაში ვაზის გარშემო.

2) თუ სიყვითლე შევამჩნიეთ როცა ვაზი ზრდაშია, ასე უნდა მოვიქცეთ: ნახევარ გირვანქა რკინის კვიპაროზს გავადნობთ ერთ ვედრა წყალში და დავასხამთ თვითოვეულ დასწეულ-ლებულ ვაზის ძირს.

3) თითო ვედრა წყალზედ ერთ გირ-ვანქამდე რკინის კვიპაროზს გავადნობთ

და ამ სითხეს შევასხურებთ მხოლოდ თიხის ან ხის ქურჭელი უნდა ვიხმა-როთ. სპილენძის ან სხვა ლითონის ქურჭელს ეს სითხე გააფუჭებს. თუ გა-ქირდა, ეს წამალი ცოცხითაც შეიძ-ლება შევასხუროთ ვაზს. ეს საშუა-ლება ფოთლებს მალე გაამწვანებს და თუ ვინიცობაა ფოთლები ისევე გა-ყვითლდნენ, წამლობა უნდა გავიმეო-როთ.

რკინის კვიპაროზი ღირს ფუთი 1 მ. 70 კაპ.

სვიმონ ხუნდაძე

საქურადღებო ცნობები

ფრინველთ გამოფენა ტფილისში

სასოფლო-სამეურნეო ფრინველთ მო-მწენებელი რუსეთის საზოგადოების ად-გილობრივი განყოფილება „ტფილისის კრუჟოკის“ საზაფხულო ბაღში ამა წლის ღვინობისთვის 18-დან 22 დე მართავს **ფრინველთ გამოფენას**.

გამოფენაზე მიიღება ფრინველი გა-საყიდათაც და პრემიის მისაღებათაც, შინაური წმინდა ჯიშის ფრინველიც და ნარევიც (მეტისებიც), მგალობე-ლი ფრინველიც და დეკორატიულიც, ცოცხალი ფრინველი და გასუქებული და დაკლულიც, კვერცხი და ყოველი სხვა, რაც კი ამ მეურნეობის დარგს ეკუთვნის, აგრეთვე ყველა დაბეჭდილი თხუზულებანი, რომელნიც კი ეხებიან ამ მეურნეობას.

ვისაც მონაწილეობის მიღება სურს გამოფენაზე, უნდა თავისი სურვილი 10 ღვინობისთვემდე აცნობოს გამო-ფენის კომიტეტის წარმომადგენელს კ. ე. ედუუბოვს (მიხეილის ქ. № 130).

ერთნაირი გვარის ფრინველები ერ-თად იქნებიან გამოფენილი, ე. ი. ქათ-მები ერთად, ინდოურები ერთად და სხ., როგორც სამზღვარ გარედ არის მიღებული წესად, რომ მაყურებელს

შეეძლოს ერთი და იგივე გვარის სხვა-დასხვა ჯიშები ერთმანეთს შეადაროს და უკეთესი აირჩიოს.

გამოფენის ექსპერტად მოწვეულია ამ საქმის კარგი მცოდნე ა. ს. გოზ-დოვსკი.

ფრინველები შეიძლება მოთავსებულ იქმნენ საზოგადოების გალიებში, ხო-ლო ქირით: საზოგადოების წევრებს გადახდებთ 1 მან. და არა-წევრებს 1 მ. 50 კ., ვისაც საკუთარ გალიაში ეყოლება თავისი ფრინველი, ის გა-მოფენის სასარგებლოდ მარტო გალიის დასადგომ ადგილში გადაიხდის ფასს: წევრი საზოგადოებისა 50 კაპ., არა-წევრი 1 მან.

ტფილისის გარეშე ადგილებიდან ფრინველების გამოგზავნა გამოსაფე-ნად შეიძლება გამოფენის კომიტეტის სახელობაზედაც (Великокняжеская, № 32). კომიტეტი, როცა ფრინველე-ბი მოვლენ, კისრულობს თავისი ხარ-ჯით აქამოს, მოუაროს და როცა გა-მოფენა გათავდება უკან გაუგზავნოს პატრონს.

რედაქ.-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე